



საქართველოს იუსტიციის
სასწავლო ცენტრი

2013

საჯარო ლექციების
პროგრამა

სტანდარტები

სარჩევი

1. ზოგადი მიმოხილვა
2. საჯარო ლექცია
3. I ეტაპი – საჯარო ლექციების დაგეგმვა
 - საჭიროებების კვლევის ანალიზი
 - მომხსენებელთა შერჩევა
 - საჯარო ლექციებზე დამსწრეთა შერჩევა, ჯგუფების დაკომპლექტება
4. II ეტაპი – საჯარო ლექციების განხორციელება
5. III ეტაპი – საჯარო ლექციების შეფასება

სტანდარტები

საჯარო ლექციების პროგრამა

საჯარო ლექცია

იუსტიციის სასწავლო ცენტრი საჯარო ლექციების მიმართულების ეფექტიანობისა და გაუმჯობესების მიზნით მოქმედებს შესაბამისი სტანდარტების გათვალისწინებით.

იუსტიციის სასწავლო ცენტრის მიერ ორგანიზებული/ადმინისტრირებული საჯარო ლექციების მიზანია სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ღვაწლმოსილ პროფესორთა გამოცდილების გაზიარება; სახელმწიფო სტრუქტურებში მომუშავე საჯარო მოხელეთა კომუნიკაციის გაუმჯობესება.

იუსტიციის სამინისტრო საჯარო ლექციებზე იწვევს:

1. უპირველეს ყოვლისა, იუსტიციის სამინისტროსა და მისი მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების (სსიპ) თანამშრომლებს;
2. სახელმწიფო სტრუქტურების თანამშრომლებს.

საჯარო ლექციების ადმინისტრირება მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- დაგეგმვა
- განხორციელება
- შეფასება

I ეტაპი - საჯარო ლექციების დაგეგმვა

საჭიროებების კვლევის ანალიზი

საჯარო ლექციების დაგეგმვის პირველ ეტაპზე ხდება თანამშრომელთა გამოკითხვა. იუსტიციის სასწავლო ცენტრმა შეიმუშავა ელექტრონული კითხვარი¹, რომელიც ეგზავნება თითოეულ თანამშრომელს. აღნიშნული კითხვარის მიზანია, დაადგინოს, კონკრეტულად, თუ რა თემაზე ისურვებენ საჯარო სტრუქტურაში დასაქმებული პირები ლექციების მოსმენას და, რაც მთავარია, დაასახელებენ ექსპერტებს, თუ ვისგან სურთ გამოცდილების გაზიარება.

იუსტიციის სასწავლო ცენტრი თანამშრომლობს აკადემიურ ინსტიტუტებთან. შედეგად, სასწავლო ცენტრისთვის ხელმისაწვდომია დეაწლმოსილი პროფესორების მონაცემთა ბაზა

თანამშრომელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზის შედეგად დგინდება საჯარო ლექციების თემატიკა და მომხსენებელთა სავარაუდო სია.

მომხსენებელთა შერჩევა

საჯარო სექტორში დასაქმებულ თანამშრომელთა ინტერესების დადგენისა და ლექციების თემატიკის განსაზღვრის შემდეგ იწყება მომხსენებელთა შერჩევის ეტაპი. შეძლებისდაგვარად, გათვალისწინებულია თანამშრომელთა მიერ დასახელებული პროფესორები. იმ შემთხვევაში, როდესაც მომავალი მსმენელები მხოლოდ სასურველ თემატიკას ასახელებენ, სასწავლო ცენტრი უზრუნველყოფს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირთა შერჩევას.

პროგრამის სტანდარტით არსებობს საკონსულტაციო საბჭო, რომლის წევრებიც ჩართულნი არიან მომხსენებელთა შერჩევის პროცესში.

¹ იხილეთ დანართი №1 - კითხვარი

საკონსულტაციო საბჭო მოქმედებს დადგენილი წესების მიხედვით. საჯარო ლექციების თემატიკა და მომხსენებელთა სია მუდმივად ცვალებადია, გამონაკლისი შემთხვევების გარდა.

მომხსენებელთა ანაზღაურების სტანდარტი:

საჯარო ლექციების მომხსენებელთა ანაზღაურება სასწავლო ცენტრის მიერ შემუშავებული სტანდარტის მიხედვით განისაზღვრება:

I. 1 სალექციო საათი – ტარიფი №1: მომხსენებელმა უნდა წარადგინოს სილაბუსი, რომელშიც ლექციების სტრუქტურასა და შინაარსთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია იქნება მოცემული;

II. 1 სალექციო საათი – ტარიფი №2: მომხსენებელმა დაზუსტებულ სილაბუსთან ერთად საჯარო ლექციის დაწყებამდე 10 დღით ადრე უნდა წარადგინოს შესაბამისი „hand out“-ის ელექტრონული ვერსია, რომლის მოცულობაც 1 სალექციო საათზე 7-10 გვერდს უნდა შეადგენდეს.

საჯარო ლექციებზე დამსწრეთა შერჩევა, ჯგუფების დაკომპლექტება

საჯარო ლექციების თემატიკისა და მომხსენებელთა ვინაობის დადგენის შემდეგ თანამშრომლებს მიეწოდებათ შესაბამისი ინფორმაცია. ლექციათა მსურველებისგან ცენტრი ელექტრონულად იღებს არჩეულ სალექციო თემატიკას.

სასწავლო ცენტრი საჯარო ლექციებზე დასწრების მსურველებს აწვდის ინფორმაციას დაგეგმილი სალექციო კურსების, მოწვეული ექსპერტების, დღის წესრიგის, დასწრების პირობებისა და სხვა დეტალების შესახებ.

II ეტაპი – საჯარო ლექციების განხორციელება

საჯარო ლექციები მიმდინარეობს გაწერილი განრიგის მიხედვით. თითოეული თემის ირგვლივ ტარდება არაუმეტეს 10 ლექციისა. ლექციები იმართება სამუშაო დღეს. სასწავლო ცენტრი უზრუნველყოფს შესაბამისი აუდიტორიის გამოყოფასა და საორგანიზაციო საკითხების მოგვარებას. საჯარო ლექციები იმართება არასამუშაო საათებში, 19:00-დან 21:00 საათამდე.

III ეტაპი – საჯარო ლექციების შეფასება

სემინარების დასრულების შემდეგ მონაწილეები საკუთარ დამოკიდებულებას აფიქსირებენ კონფიდენციალური უკუკავშირის კითხვარის საშუალებით, რომელიც მათ ელექტრონული სახით მიეწოდებათ. მათ შეეძლება პროექტის როგორც ძლიერი და სასარგებლო მხარეების, ისე გასაუმჯობესებელი ასპექტების გათვალისწინებით რეკომენდაციებისა და შენიშვნების მოწოდება, რაც ხარისხის კონტროლისა და მომავალი დახვეწის საშუალებას იძლევა.

ამასთან, უკუკავშირის კითხვარში ჩადებული არის კითხვა – რამდენად ამომწურავი იყო საჯარო ლექციის ფორმატით მიღებული ინფორმაცია და ხომ არ აქვთ აღნიშნულ საკითხზე უფრო საფუძვლიანი და პრაქტიკულ საჭიროებებზე მორგებული ინფორმაციის მიღების სურვილი. კითხვარი დამუშავდება შესაბამისი ჯგუფის მიერ და, საჭიროების შემთხვევაში, გათვალისწინებულია სატრენინგო პროგრამის შემუშავება.